jober.ge

https://www.jober.ge

https://jober.ge/ka/განცხადებები/-GEO928929

2019-10-10

ვაკანსიის აღწერა

გაყიდვების მენეჯერი

GEO928929

ც. დადიანის ქ. #7 (სავაჭრო ცენტრი ქარვასლა)

კონტრაქტი : გრძელვადიანი კონტრაქტი

სასურველი სამუშაო საათები : სრული განაკვეთი

ვაკანსიის მდებარეობა



ვაკანსიის დეტალები

ქართულ-ფრანგული საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანია „Netiko“აცხადებს ვაკანსიას გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე.

აუცილებელი მოთხოვნები:

• ორგანიზებულობა და დროის მართვის უნარი;
• გამართული წერითი და ვერბალური უნარები ქართულ ენაზე;
• პირდაპირი მარკეტინგის და მოლაპარაკებების წარმოების უნარი;
• ნოვატორობის, კრიტიკულად აზროვნებისა და შედეგებზე დაყრდნობით სამომავლო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და სურვილი;
• დამოუკიდებლად მუშაობის, გადაწყვეტილებების მიღების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და სამუშაოს

დაგეგმვის უნარი;
• ძლიერი ინტერპერსონალური უნარები. მათ შორის, კომპანიის სტეიკჰოლდერებთან ძლიერი ურთიერთობის დამყარების უნარი
• ინგლისური ენის ცოდნა საკომუნიკაციო დონეზე.
ჩვენ გთავაზობთ:
• გახდეთ პროფესიონალების გუნდის წევრი, სადაც თავს იგრძნობთ ერთი ოჯახის წევრად
• ჩვენ ვაფასებთ ღია, სამართლიან და გამრჯე თანამშრომლებს. ჩვენთვის თქვენი პირადი მიღწევები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თქვენი ჩართულობა კომპანიის მიზნების მიღწევაში;
• მუშაობას კომპანიაში, რომლის ორგანიზაციული კულტურა აგებულია პატივისცემასა და შრომისმოყვარეობაზე. Netiko-ს გუნდის წევრობით, ჩვენ გთავაზობთ განავითაროთ თქვენი კარიერა საერთაშორისო გარემოში.
• საინტერესო შესაძლებლობების სხვადასხვა სფეროს გაცნობას;

ფუნქციები და მოვალეობები:
• პოტენციური კლიენტების მოძიება და შესაბამისი ბაზის შედგენა;
• გაყიდვების სტიმულირება;
• გაყიდვების სტიმულირებისათვის ღონისძიებათა განხორციელება; შეთავაზებების და საპრეზენტაციო მასალების მომზადება;
• საკვანძო კლიენტებთან ურთიერთობა და ასევე ახალი კლიენტების მოძიება;
• პირდაპირი გაყიდვების წარმოება, სერვისის გაცნობის/გაყიდვის სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება;
• კონკურენტებისა და სამომხმარებლო ბაზრის ტენდენციების იდენტიფიცირება;
• ბაზარზე პროდუქტის ცნობადობის და სერვისის მოთხოვნის ზრდის უზრუნველყოფა;
• საკუთარი საქმიანობის ანალიზი და რეპორტინგი ადმინისტრაციასთან.

სამუშაო პირობები:
• ანაზღაურება: ფიქსირებული + ბონუსი
• სამუშაო განრიგი: სრული, 10:00-დან 19:00 საათამდე, კვირაში 2 დასვენების დღე.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს და გამოაგზავნოთ შესაბამისი განაცხადები.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, გამოგვიგზავნონ CV ფოტო-სურათით მისამართზე: contact@netiko.ge გთხოვთ, ელ-ფოსტის სათაურში აუცილებლად მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

კონტაქტი